

ქ.თბილისი

2016 წლის 21 სექტემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2016 წლის 21 სექტემბერს ა.ა.ი.პ. „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს ოფისში, მდებარე ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №49ა.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 8 წევრიდან 6 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

**სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები:** მირიან თავზარაშვილი, სულხან სულხანიშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ირაკლი ჩიქავა და ლ. ჩიკვაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა სრკ საშეჯიბრო კომიტეტის თავმჯდომარის ნ. მამრიკიშვილის მომართვა, მატჩის მეთვალყურის დ. ცხვედიანის ოქმი, მოხსენებით ბარათი და ოფიციალურად მოწოდებული ვიდეომასალა.

#### **გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

ამა წლის 16 სექტემბერს გაიმართა ჭაბუკთა „ბ“ ლიგის მატჩი თბ „ივერია“-სა და თბ „არმია“-ს შორის. მატჩის მეთვალყურის დ. ცხვედიანის ოქმის, მოხსენებითი ბარათის და მოწოდებული ვიდეომასალის განხილვისას, თამაშის მსვლელობისას წარმოქმნილი ინციდენტის დროს, გამოიკვეთა შემდეგი დისციპლინარული დარღვევები :

#### **თბ „ივერია“**

1. გიორგი მინძიბაძე - კონფლიქტის პროვოცირება.
2. გიორგი სამელია - მოედანზე მსაჯის ნებართვის გარეშე გასვლა, მატჩის მსვლელობისას წარმოქმნილ კონფლიქტში მონაწილეობა.

#### **თბ „არმია“**

1. ლაშა ქადაგიშვილი - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.
2. მიშო ფონიავა - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.
3. გურამ თოკოლიშვილი - მეტოქისთვის შეგნებულად ტრავმის მიყენების მცდელობა.

სრკ სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7, 2.2.8, 2.2.9 სრკ სადისციპლინო კოდექსის დანართი N 1-ის 2.8, 2.9 პუნქტებით და ერთხმად მიიღო შემდეგი

## გადაწყვეტილება

1. კლუბ თბ „ივერია“-ს მორაგბე გიორგი მინძიბაძე დისკვალიფიცირებული იქნას 2 (ორი) სათამაშო კვირით.
2. კლუბ თბ „ივერია“-ს წევრი გიორგი სამელია დისკვალიფიცირებული იქნას 5 (ხუთი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 500 (ხუთასი) ლარით.
3. კლუბ თბ „არმია“-ს მორაგბე ლაშა ქადაგიშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 7 (შვიდი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 500 (ხუთასი) ლარით.
4. კლუბ თბ „არმია“-ს მორაგბე მიშო ფონიავა დისკვალიფიცირებული იქნას 3 (სამი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 200 (ორასი) ლარით.
5. კლუბ თბ „არმია“-ს მორაგბე გურამი თოკოლიშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 5 (ხუთი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300 (სამასი) ლარით.
  
6. კლუბ თბ „ივერია“-ს მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 2.9 პუნქტი და დააკლდება 3(სამი) საცხრილო ქულა.
  
7. კლუბ თბ „არმია“-ს მიერ ფულადი ჯარიმის 7 კალენდარული დღის ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ამოქმედდება სადისციპლინო კოდექსის დანართი №1-ის 2.8 პუნქტი და დააკლდება 3(სამი) საცხრილო ქულა.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/